საჯარო სამართლის იურიდიული პირი
თბილისის აპოლონ ქუთათელაძის
სახელობის სახელმწიფო სამხატვრო
აკადემია

Legal Entity of Public Law
APOLLON KUTATELADZE TBILISI
STATE ACADEMY OF ART

KA000002417058524

ბრძანება

№ 54-ს/ხ

18 / ივლისი / 2024 წ.

გარე მობილობის მსურველ სტუდენტთა რეგისტრაციისა და გამოცდების ვადების შესახებ

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2014 წლის 16 მაისის № 05/84 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის -თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის“ (შემდგომში - აკადემია) წესდების მე-8 მუხლის პირველი პუნქტის, „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის N10/ნ ბრძანების N1 დანართის, სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის უფროსის 2024 წლის 18 ივნისის N1.1/73 ბრძანებისა და აკადემიის აკადემიური საბჭოს 2023 წლის 30 ნოემბრის სხდომაზე (N37 ოქმი) დამტკიცებული აკადემიის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის მე-13 და მე-14 მუხლების საფუძველზე

ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს 2024-25 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში გარე მობილობის მსურველ სტუდენტთა რეგისტრაციისა და გამოცდების ვადები განისაზღვროს შემდეგი სახით:

ა) აკადემიის მედიახელოვნების ფაკულტეტის, დიზაინის ფაკულტეტისა და სახვითი ხელოვნების ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამებზე:

ა.ა) გარე მობილობის მსურველ პირთა განცხადებების მიღება/რეგისტრაცია - 2024 წლის 22-26 აგვისტო;

ა.ბ) გამოცდა შემოქმედებითი ტური ხატვაში - 2024 წლის 27 აგვისტო 11:00სთ; პორტფოლიო გამოცდა კომპოზიციაში - 2024 წლის 29 აგვისტო 11:00 სთ;

ა.გ) სააპელაციო განცხადებების მიღება/განხილვა- 2024 წლის 30 აგვისტოდან 2 სექტემბერის 13:00 სთ ჩათვლით;

ა.დ) შედეგების გამოქვეყნება/წარდგენა სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში - 2024 წლის 2-3 სექტემბერი;

ბ) აკადემიის არქიტექტურის ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამებზე:

ბ.ა)გარე მობილობის მსურველ პირთა განცხადების მიღება/რეგისტრაცია, კრედიტების აღიარება და ჩასარიცხ პირთა შესახებ დასკვნების მომზადება (შესაბამისობის დადგენა) - 2024 წლის 10-13 სექტემბერი;

ბ.ბ) გამოცდები სპეციალობაში- 2024 წლის 16 სექტემბერი;

ბ.გ) შედეგების გამოქვეყნება - 2024 წლის 17 სექტემბერი.

ბ.დ) სააპელაციო განცხადებების მიღება/განხილვა- 2024 წლის 18 სექტემბერი;

2. მობილობის წესით ჩასარიცხ პირთა შესახებ აკადემიის სამართლებრივი აქტის პროექტის სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში წარდგენა განხორციელდეს არაუგვიანეს 2024 წლის 23 სექტემბრის ჩათვლით.

3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

4.ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი№64).

საფუძველი:

აკადემიის აკადემიური საბჭოს სხდომის 2024 წლის 17 ივლისის სხდომის N49 ოქმით მიღებული გადაწყვეტილება.

სსიპ თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის რექტორი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ყარამან ქუთათელაძე